საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალებით

სარგებლობის წესი

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების ფონდით (ყველა სახის ბეჭდური და ელექტრონული რესურსით) სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ამავე უნივერსიტეტის:

   ა) სტუდენტებს(ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორანტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები)

   ბ) აკადემიურ, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალს;

   გ) სტუ-ს სხვადასხვა დეპარტამენტების მიერ მოწვეულ აკადემიურ პერსონალს.

2. ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში აბონენტს ემსახურება ოთხი დარბაზი:

   ა) პერიოდული გამოცემების დარბაზი;

   ბ) კომპიუტერული დარბაზი;

   გ) ტექნიკურ მეცნიერებათა დარბაზი;

   დ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარბაზი.

3. ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და მის ფილიალებში გასაწევრიანებლად აუცილებელი დოკუმენტებია:

   ა) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (სტუდბილეთი/ცნობა შესაბამისი ფაკულტეტიდან, სტუ-ს მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობა);

   ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და მის ფილიალებში ყოველი სააბონენტო მომსახურებისათვის აუცილებელია მკითხველის ბილეთის წარდგენა.

5. ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და მის ფილიალებში წიგნადი ფონდით მომსახურება ითვალისწინებს შემდეგ პროცესებს:

   ა) საბიბლიოთეკო ბეჭდური ერთეულების დროებით (ერთი სემესტრით) მფლობელობაში გადაცემა;

   ბ) მკითხველს ერთ ჯერზე შეუძლია ინდივიდუალური გამოყენებისათვის ფონდიდან მიიღოს სხვადასხვა დასახელების 10 ბეჭდური ეგზემპლარი (მოთხოვნა შესრულებული იქნება არაუმეტეს ერთი საათის განმავლობაში). თუ მკითხველი კვლავაც საჭიროებს იმ საბიბლიოთეკო ერთეულებს, რომლებიც მან უკვე გაიტანა ინდივიდუალურ სარგებლობაში, მაშინ აბონენტი ვალდებულია წარადგინოს ეს მასალა ბიბლიოთეკაში ხელახალი რეგისტრაციისათვის;

   გ) სარგებლობის ვადა პროფესორ-მასწავლებლებისა და სხვა პერსონალისათვის წიგნით (ჟურნალით, ელექტრონული ვერსიებით) არის 2 თვე, ხოლო სტუდენტებისთვის - ერთი სასწავლო სემესტრი; დ) ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ფილიალებში, ფაკულტეტზე, ემსახურებიან ამავე ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, თუმცა ისინი არ გასცემენ საბიბლიოთეკო ერთეულს. (იგულისხმება ბეჭდური ლიტერატურის დროებით კერძო მფლობელობაში ერთი სემესტრით გაცემა);

ე) ამა თუ იმ გამოცემის ერთადერთი ეგზემპლარის ან რარიტეტული წიგნით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამის სამკითხველო დარბაზში;
ვ) ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული ნაშრომით შეუძლია ისარგებლოს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა კატეგორიის აბონენტს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი სარგებლობენ სტუ-ს ელექტრონულ ფოსტით;
ზ) ლიტერატურის შეკვეთა ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში შესაძლებელია, როგორც პირადად, ასევე ელექტრონული ფოსტით, რომელიც მითითებულია ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე;
თ) იმ შემთხვევაში თუ წიგნის ელექტრონული ვერსიის ავტორის მიერ არ არის ნებადართული მისი შეუზღუდავი სარგებლობა, მაშინ აბონენტს შეუძლია გაეცნოს მისთვის სასურველ ელექტრონულ ნაშრომს ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ელექტრონულ დარბაზში.

6. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შრომითი ხელშეკრულების დამთავრების (პროფესორ-მასწავლებელთა და სხვა პერსონალისათვის) შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორებისათვის, ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა გასცემს შესაბამის ცნობას სათანადო აღნიშვნით.

7. ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების კუთვნილი საბიბლიოთეკო ერთეულის დაკარგვისას, აბონენტი ვალდებულია:

ა) აღადგინოს დაკარგული საბიბლიოთეკო ერთეული იდენტური თემატიკის ერთეულით;
ბ) ზარალი აანაზღაუროს თანხით (თანხის რაოდენობა განისაზღვრება ფორმულით: დაკარგული ერთეულის ღირებულებას პლუს 50 (ორმოცდაათი) ლარი.

8. ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დარბაზებში მკითხველს ასევე ყოველგვარი შეკვეთის გარეშე შეუძლია ისარგებლოს იმ ლიტერატურით, რომელიც ამავე დარბაზის საკუთრებას წარმოადგენს.

9. ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ელექტრონულ დარბაზში ყველა კატეგორიის სტუდენტს და პროფესორ-მასწავლებელს შეუძლია ინტერნეტის საშუალებით მოიძიოს სასწავლო-სამეცნიერო და საინფორმაციო მასალები.

10. ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების დარბაზებში იკრძალება სხვადასხვა გასართობი და სათამაშო (სასწავლო პროცესთან შეუსაბამო) საიტებით სარგებლობა.

11. ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია „Wifi".

12. ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების დარბაზებში აკრძალულია მობილური ტელეფონის გამოყენება.

13. ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი: ორშაბათი-პარასკევი: 10^{00}-20^{00} სთ.; შაბათი: 10^{00}-16^{00} სთ.